GLOBEPROGRAM®
A Worldwide Science & Education Program

# რა არის GLOBE?

GLOBE (გლობალური სწავლა და დაკვირვება გარემოს სასარგებლოდ) არის საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ფოკუსირებულია სამეცნიერო წიგნიერების ხელშეწყობასა და გარემოსდაცვითი საქმიანობით დაინტერესებულ ადამიანებს შორის კავშირების დამყარებაზე.

GLOBE-ის სკოლები იკვლევენ და სწავლობენ დედამიწის სხვადასხვა სისტემას საკუთარი კვლევითი პროექტების მეშვეობით და NASA-ს ხელმძღვანელობით.
პროექტები შეიძლება იყოს ორიენტირებული GLOBE-ის სხვადასხვა პროტოკოლის, კამპანიის ან მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა ინიციატივაზე.

გლოუბის პარტნიორსა და ქვეყნის კოორდინატორს საქართველოში წარმოადგენს CENN, პროექტ "მწვანი კავკასიის" ფარგლებში, ავსტრიის განვითარება თანამშრომლობისთვის ფინანსური მხარდაჭერით.

# როგორ ხორციელდება GLOBE სკოლაში?

მოსწავლეები აკვირდებიან გარემოს GLOBE პროტოკოლების მიხედვით, დაკვირვებისა და გაზომვის სტანდარტული მეთოდებით.

პროტოკოლი და აქტივობა შეიძლება შეირჩეს სკოლის პირობებიდან გამომდინარე (რა ასაკის არიან მოსწავლეები, არის თუ არა ახლომახლო მცენარეულობა, მდინარე ან ტბა და ა.შ.)

პროტოკოლებთან ერთად, ყოველწლიურად იგეგმება და ხორციელდება სხვადასხვა საინტერესო კამპანია, პროექტი, კონკურსი, შეხვედრები NASA-ს მეცნიერებთან და ა.შ.

# როგორ უნდა ჩავერთო პროგრამაში?

პროგრამაში ჩასართავად უნდა გაიაროთ რეგისტრაცია GLOBE-ის ვებ-საიტზე: https://www.globe.gov/about/ready-to-join/create-an-account

ანგარიშის შექმნის შემდეგ ქვეყნის კოორდინატორი ადასტურებს თქვენს ანგარიშს და თქვენ უკვე გაქვთ შესაძლებლობა, შეასრულოთ პროტოკოლები, როგორც მოქალაქე მეცნიერმა, გამოიყენოთ აპლიკაცია GLOBE Observer და წარმოადგინოთ თქვენი მოსწავლეების მიერ შესრულებული აქტივობები

პროტოკოლების შესრულებისა და მონაცემების ატვირთვისთვის, საჭიროა გავლილი გქონდეთ ფორმალური ტრენინგი ან დაესწროთ თემატურ ვორკშოპს. მაგალითად, თუ თქვენ გეგმავთ ვეგეტატიური ზრდის (Green Up) პროტოკოლით გათვალისწინებული აქტივობების შესრულებას, თქვენ აუცილებლად უნდა გქონდეთ გავლილი შესაბამისი ტრენინგი.

ტრენინგის გავლა შეგიძლიათ ნებისმიერ დროს ონლაინ, ინგლისურ ენაზე:
https://www.globe.gov/get-trained/protocol-etraining/protocol-etraining-modules

ამასთან, CENN პერიოდულად აორგანიზებს ქართულ ენაზე თარგმნილი პროტოკოლების მიმართულებით ვორკშოპებს, რომელზე დასწრებაც ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

# რატომ უნდა ჩავერთო პროგრამაში?

- რჩევები პრაქტიკული სწავლისთვის, როგორც საკლასო გარემოსთვის, ისე მის მიღმა
- მასწავლებელთა ტრენინგები, ვებინარები მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის
- საერთაშორისო დონეზე სხვა ქვეყნის სკოლებთან თანამშრომლობა
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარება
- ტექნოლოგია: GLOBE Observer აპლიკაცია, ვიზუალიზაციის ინსტრუმენტი
- წვდომა 200 მილიონზე მეტ სამეცნიერო მონაცემზე
- მასწავლებელთა გზამკვლევი 4 GLOBE ზონისთვის
- საგრანტო კონკურსები: GLOBE-ის პროგრამის ფარგლებში გექნებათ შესაძლებლობა მიიღოთ მონაწილეობა საგრანტო კონკურსებში და მოიპოვოთ გრანტი თქვენი პროექტის განსახორციელებლად
- საინტერესო გამოწვევები, კონფერენციები, კამპანიები - ყოველწლიურად GLOBE-ის ფარგლებში ცხადდება საინტერესო გამოწვევები, კონფერენციები და კამპანიები, რომელშიც ჩართული სკოლები, მოსწავლეები და მასწავლებლები იღებენ შესაბამის სერტიფიკატებს და პროექტის მიხედვით - სტიპენდიასა და სხვადასხვა პრიზს.

# ფენოლოგიის კამპანია - ევროპა

ყოველწლიურად, GLOBE-ის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს გაზაფხულისა და შემოდგომის ფენოლოგიის კამპანია. კამპანიაში ჩართვისას მონაწილეები ასრულებენ მარტივ აქტივობებს, შესაბამისი ინსტრუქციების მიხედვით, რაც მათ უადვილებს ვეგეტატიური ზრდისა და ზრდის დასრულების პროტოკოლების შესრულებას.

კამპანია ყოველწლიურად გაზაფხულსა და შემოდგომაზე ცხადდება, მასში მონაწილეობისას სკოლებს ასევე შეუძლიათ კოლაბორაციული ჯგუფების შექმნა ევროპის მასშტაბით კამპანიაში მონაწილე სხვა სკოლებთან.

კამპანიაში ჩართული სკოლები და მასწავლებლები, აქტივობების შესრულების შემთხვევაში მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატებს.

# ნერგების მინიჭების სქემა

| **აქტივობა** | **დამადასტურებელი მასალის სია (რა შეიძლება დაურთოთ პორტალზე ატვირთული აქტივობის აღწერის სიას)** |
|---|---|
| ვეგეტიური ზრდის პროტოკოლის შესრულება სრულად<br><br>ნერგი: 30 | - სრულად შევსებული ზრდის მონაცემთა ბარათი (ფოტოს სახით)<br>- დაკვირვებისას გადაღებული/დაკვირვების ამსახველი ფოტო-მასალა |
| ვეგეტატიური ზრდის დასრულების შესრულება სრულად<br><br>ნერგი: 30 | - სრულად შევსებული ზრდის მონაცემთა ბარათი (ფოტოს სახით)<br>- დაკვირვებისას გადაღებული/დაკვირვების ამსახველი ფოტო-მასალა |
| ფენოლოგიის კამპანიაში ჩართვა და აქტივობების შესრულება (წელიწადში ორჯერ: გაზაფხულსა და შემოდგომაზე)<br><br>ნერგი: 20 | - კამპანიის დასრულების ნიშნად მიღებული სერტიფიკატი (ფოტოს სახით);<br>- აქტივობების შესრულებისას გადაღებული/დაკვირვების ამსახველი ფოტო-მასალა |
| GLOBE - პლატფორმაზე რეგისტრაცია (ერთჯერადი აქტივობა)<br><br>ნერგი: 10 | - ვებ-საიტზე, პირადი გვერდის (ანგარიშის) ეკრანის ანაბეჭდი (Screenshot) |

| | |
|---|---|
| ღრუბლების დაკვირვება GLOBE Observer-ის აპლიკაციით (ერთჯერადი აქტივობა)<br><br>ნერგი: 15 | - დაკვირვების ამსახველი ეკრანის ანაბეჭდი (Screenshot) აპლიკაციიდან<br>- დაკვირვებისას გადაღებული/დაკვირვების ამსახველი ფოტო-მასალა |
| ხის სიმაღლის გაზომვა GLOBE Observer-ის აპლიკაციით (ერთჯერადი აქტივობა)<br><br>ნერგი: 15 | - დაკვირვების ამსახველი ეკრანის ანაბეჭდი (Screenshot) აპლიკაციიდან<br>- დაკვირვებისას გადაღებული/დაკვირვების ამსახველი ფოტო-მასალა |
| GLOBE კვლევითი პროექტის განხორციელება<br><br>ნერგი: 50 | - პროექტის აღწერა: საკვლევი ჰიპოთეზა, კვლევის მეთოდი, მიღებული შედეგი;<br>- პროექტის მიმდინარეობის/დაკვირვებების ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალა |

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ აქტივობის დამადასტურებელი მასალის სიის კომპონენტები, თითოეული აქტივობისთვის, უნდა გამოიგზავნოს ერთიანად.

მაგალითად: თუ თქვენ შეასრულეთ ვეგეტატიური ზრდის დასრულების პროტოკოლი, პორტალზე აქტივობის დამატებისას უნდა ატვირთოთ: სრულად შევსებული ზრდის მონაცემთა ბარათი (ფოტოს სახით) და დაკვირვებისას გადაღებული/დაკვირვების ამსახველი ფოტო-მასალა.

ქულების დაგროვება ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის წესებიდან გამომდინარე შეგიძლიათ სექტემბრიდან-მაისის ჩათვლით, თუმცა GLOBE-ის აქტივობებში ჩართვა, სურვილისამებრ, მთელი წლის განმავლობაშია შესაძლებელი.

# სასარგებლო ბმულები

GLOBE - https://www.globe.gov/
სარეგისტრაციო ბმული - https://www.globe.gov/about/ready-to-join/create-an-account
ვეგეტატიური ზრდისა და ზრდის დასრულების პროტოკოლები (ქართულ ენაზე) - https://drive.google.com/drive/folders/1URRCOL0CzdUD81Gv3VtcnWt17jzxML4N